

მიხეილ ბორგოლტე

ბერლინის ჰუმბოლდტის უნივერსიტეტის პროფესორი

Michael Borgolte

Professor an der Humboldt-Universität zu Berlin

ევროპა შუა საუკუნეების ხილში
როგორ ცვლის ჩვენი სასიცოცხლო გარემოს ისტორია
და აწყო მედიავისტიკის პერსპექტივებს

EUROPA IM BANN DES MITTELALTERS. WIE GESCHICHTE UND GEGENWART UNSERER
LEBENSWELT DIE PERSPEKTIVEN DER MEDIÄVISTIK VERÄNDERN¹

ისტორიკოსმა ჰაინრიხ ავგუსტ ვინკლერმა² სულ ცოტა ხნის წინ XIX და XX საუკუნეების ისტორია წარმოგვიდგინა, რომელიც პუბლიცისტიკამ, პოლიტიკურმა ელიტამ და მრავალათასიანმა მკითხველმა გაიგო, როგორც „ბერლინის რესპუბლიკის“ იდეოლოგიის შექმნის საქმეში შეტანილი მნიშვნელოვანი წვლილი. ვინკლერის თეზის მიხედვით, გერმანიის 1990 წლის გაერთიანებამ „დასავლეთისაკენ გერმანელების გრძელი გზა“ მიზნამდე მიიყვანა. ამის საპირისპიროდ, ბოლოს და ბოლოს დაძლეული უნდა ყოფილიყო „განსაკუთრებული გერმანული გზა“, იმთავითვე წარმოდგენილი, ერთი მხრივ, გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის პოსტნაციონალურ საზოგადოებაში, მეორე მხრივ კი, ინტერნაციონალურ პრინციპებზე მოწყობილ გერმანიის დემოკრატიულ რესპუბლიკაში, სრულიად გერმანიის მომცველ დემოკრატიულ ეროვნულ სახელმწიფოში, რომელიც მყარად უნდა ყოფილიყო ინტეგრირებული დასავლურ სამყაროში.³ იმის ასახსნელად, თუ როგორ იქნებოდა საერთოდ შესაძლებელი უახლოს მომავალში განსაკუთრებულ გერმანულ გზამდე მისვლა, ვინკლერმა მიუთითა რაიხის ისტორიასა და მითებზე. შესაბამისად, ის მიმოხილვას იწყებს ადრეული შუა საუკუნეებიდან. ვისაც გერმანული ერთიანობისკენ მავალი რთული გზის თავისუფლებაში გააზრება სურს, მან ნაპოლეონიდან კი არ უნდა დაიწყოს,

1 Mittelalter in der größeren Welt: Essays zur Geschichtsschreibung und Beiträge zur Forschung, Europa im Mittelalter, 24, Akademie Verlag GmbH, De Gruyter, 2014, 61-78.

2 Heinrich August Winkler, Der lange Weg nach Westen, 2 Bde., München, 42002. Zur Aufnahme des Werkes vgl. Eckhard Fuhr, Mitten in der Hauptstadt. Historiker der Berliner Republik: Heinrich August Winkler ein politischer Geschichtsschreiber, in: Die Welt vom 22. Dezember 2000, S. 31; Christophe Leonzi, Heinrich August Winkler, historien de la „République de Berlin“, in: Esprit, Juni 2002, 159-169; Jürgen Leinemann, Der Zeitgenosse, in: Der Spiegel 52, 2002, 40-42.

3 Vgl. Auch Heinrich August Winkler, Streitfragen der deutschen Geschichte, Essays zum 19. Und 20. Jahrhundert, München, 1997, S. 7f., 123 ff.

არამედ მისი თვალსაწიერი უნდა მისწვდეს ოტო დიდსა და სათანადოდ შეაფასოს ფრანკებსა და გერმანელებზე „იმპერიის გადატანის“ ფაქტორი.⁴ „პირველად იყო იმპერია“ – ასე, ბიბლიური მჭვრეტელის ჟესტით, იწყება ნაშრომი და ამ პოზიციიდან ყალიბდება პრობლემა: „ის, რაც გერმანიის ისტორიას სხვა დიდი დასავლეთევროპული ერების ისტორიისგან განასხვავებს, სათავეს იღებს აქ შუა საუკუნეებში. შუა საუკუნეებში გაიყო გზები. ინგლისსა და საფრანგეთში მაშინ დაიწყო ნაციონალური სახელმწიფოების ჩამოყალიბება, იმ დროს, როდესაც გერმანიაში თანამედროვე სახელმწიფო განვითარდა უფრო დაბალ, ტერიტორიულ დონეზე. იმავდროულად, ამ ტერიტორიაზე არსებობას აგრძელებდა წარმონაქმნი, რომელსაც უფრო მეტის სურვილი ჰქონდა, ვიდრე ერთ-ერთ რიგით სამეფოს სხვა სამეფოებს შორის: წმინდა რომის იმპერიას (das Heilige Römische Reich). გერმანია რომ ეროვნულ სახელმწიფოდ უფრო გვიან ჩამოყალიბდა, ვიდრე ინგლისი და საფრანგეთი და კიდევ უფრო გვიან დამკვიდრდა გერმანიაში დემოკრატია, ყოველივე ამის მიზეზი მის შორეულ წარსულში უნდა ვეძებოთ.“⁵

როგორც ვინკლერი თავის ორტომეულში განმარტავს, 1945 წელს „მესამე რაიხის“ მარცხმა გერმანელთა იმპერიის თითქმის ათასწლოვანი ისტორიის ერთმნიშვნელოვანი დასასრული მოიტანა. თუმცა ეს მითი გერმანიის დაყოფისას დროდადრო ცოცხლდებოდა ხოლმე. სწორედ ამიტომაც აღმოჩნდა ფედერაციული რესპუბლიკისა და მაშინ ჯერ კიდევ არსებული გდრ-ის მიერ 1990 წლის ივნისში პოლონეთის ჩრდილოეთ საზღვრის აღიარება ის ფაქტორი, რამაც გერმანელებს იმპერიის (რაიხის) იდეის გაცოცხლების გზა მოუჭრა სამუდამოდ.⁶ ვინკლერის აზრით, გერმანული ისტორიის თავს დამდგარი შუა საუკუნეების გრძელი აჩრდილი სულ რამდენიმე წლის წინ გაიფანტა.⁷

სულაც არ დაკნინდება ბრწყინვალე ისტორიოგრაფიული მიღწევა, თუკი დავასკვნით, რომ ავტორი ისტორიის მისეული ინტერპრეტაციით აქტუალობას მატებს იდეოლოგიების ეპოქიდან აზროვნების ძალიან ცნობილ ფორმას, სახელდობრ, თანამედროვეობა, შუა საუკუნეებისაგან განსხვავებით, თავად ახდენს თვითგანმარტებას და თავად განსაზღვრავს საკუთარ პოზიციას:⁸ რაიხის დასრულებასა და მასთან დაკავშირებული მითის დაძლევასთან ერთად სრულდება გერმანიის გადასვლა ახალ ეპოქაში.

ამასობაში ვინკლერი სცდება გერმანიის ისტორიის ფარგლებს და მუშაობს ახალ ნაშრომზე, რომელიც ეხება დემოკრატიისა და ნაციონალურ საკითხს ევროპაში, და სვამს კი-

4 Winkler, Weg (შენიშვნა 1), B.1, S. 5f. – Vgl. Thomas Nipperdey, Deutsche Geschichte 1800-2866. Bürgerwelt und starker Staat. München, 1987, S. 11: „Am Anfang war Napoleon. Die Geschichte der Deutschen, ihr Leben und ihre Erfahrungen in den ersten Jahrzehnten des 19. Jahrhunderts, in denen die ersten Grundlagen des modernen Deutschlands gelegt worden sind, steht unter seinem überwältigenden Einfluß“. Dazu Winkler, Streitfragen (შენიშვნა 2), S. 31f.

5 Winkler, Weg (შენიშვნა 1), Bd. 1, S. 5.

6 იქვე: Bd. 2, S. 114 f., vgl. S. 583 f., 645-651, 655 f., ferner s. Bd. 1, S. 20, 217, 343; Bd. 2, S. 6 f., 24, 58, 65, 83, 91, 126, 133, 135, 145, 158 f., 173, 243-246, 271, 432, 437, 440, 445, 471 f., 474, 486, 536, 540, 542, 575, 583 f. ასევე Winkler, Streitfragen (შენიშვნა 2). შეად., Michael Borgolte, Vom Sacrum Imperium zum Heiligen Römischen Reich Deutscher Nation. Mittelalterliche Reichsgeschichte und deutsche Wiedervereinigung, in: Deutschland in Europa. Ein historischer Rückblick, hrsg. von Bernd Martin, München, 1992, S. 67-87, აქ: S. 69.

7 ვინკლერის პიროვნებისა და ნაშრომის შესახებ – Michael Borgolte, Königsberg-Deutschland –Europa. Heinrich August Winkler und die Einheit der Geschichte, Berlin 2004

8 შეად. Otto Gerhard Oexle, Das entzweite Mittelalter, in: Die Deutschen und ihr Mittelalter. hrsg. Gerd Althoff Darmstadt 1992, S. 7-28; 168-177, მისივე, Die Moderne und ihr Mittelalter. Eine folgenreiche Problemgeschichte, in: Mittelalter und Moderne. Entdeckung und Rekonstruktion der mittelalterlichen Welt, hrsg. von Peter Segl,

თხვას ევროპის იდენტობის შესახებ. ეს პრობლემა კვლავ აქტუალური გახდა ევროკავშირის გადაწყვეტილებების მიღების შემდეგ, რომლებიც ითვალისწინებდა 2004 წლის მაისში ათი ახალი წევრის მიღებას კავშირში, რომელთაგან რვა მათგანში 1989/90 წლების ეპოქალურ ცვლილებებამდე კომუნისტური მმართველობა იყო. ეს გადაწყვეტილება ითვალისწინებდა კიდევ ორი აღმოსავლეთ ევროპული ქვეყნის ასპირანტობას და, უწინარესად, ისლამური თურქეთისათვის კანდიდატის სტატუსის მინიჭებას. სხვა ისტორიკოსების მსგავსად, რომლებიც ახალ ისტორიაში⁹ პუბლიცისტურ საქმიანობას ეწევიან, ვინცლერი აყენებს თეზისს, რომ თურქეთი არ შეიძლება იყოს „ევროპის პროექტის“ ნაწილი. ევროპისადმი მიკუთვნებულიობისთვის უნდა იყო დასავლეთ ევროპული წარმომავლობის ან, სულ მცირე, უნდა იყო დასავლური ღირებულებების დამაჯერებლად მატარებელი. „ისტორიულ დასავლეთს“, როგორც ვინცლერი წერდა ჯერ კიდევ 2003 წლის თებერვალში, „განეკუთვნება მხოლოდ ევროპის ერთი ნაწილი: ის, რომელისთვისაც XI საუკუნეში, ეკლესიათა გაყოფის დროიდან რეფორმაციამდე, რომი იყო სასულიერო ცენტრი, და არა კონტინენტის ბიზანტიური ნიშნით მარკირებული აღმოსავლეთი.“¹⁰ შემდეგ ის წერს: „ისტორიული დასავლეთი ისეთი უნიკალური მოვლენაა, რომ შეიძლება ვილაპარაკოთ დასავლეთის განსაკუთრებულ მსოფლიო ისტორიულ გზაზე, მხოლოდ აქ ჩამოყალიბდა ადამიანისა და სამოქალაქო უფლებების, პიროვნული თავისუფლების, პლურალიზმისა და დემოკრატიის იდეები. მხოლოდ აქ აღნიშნული მაქს ვებერის მიერ გაანალიზებული რაციონალიზაციის მრავალმხრივი და ყოვლისმომცველი პროცესი. ამ პროცესის განუყოფელი ნაწილია საეკლესიო სამართალი და რომის სამართლის რეცეფციის შემოღება, სქოლასტიკა და ჰუმანიზმი, თანამედროვე მეცნიერება და თანამედროვე კაპიტალიზმი, განმანათლებლობა, სეკულარიზაცია და ყველა სახის ემანსიპაცია: საეკლესიო და სახელმწიფო მეურვეობის მხრიდან პიროვნების ემანსიპაცია, ებრაელებისა და მონების ემანსიპაცია, ე.წ. „მესამე“ და „მეოთხე“ ფენის ემანსიპაცია და არცთუ ბოლოს ქალთა ემანსიპაცია.“¹¹

დიფერენცირების დასავლური პროცესი, რომელმაც ხელი შეუწყო ინდივიდუალური თავისუფლების უფლებების მხარდაჭერას, ვინცლერის აზრით, სათავეს იღებს ღმერთისა და კაიზერის უფლებების ქრისტიანულ გაყოფაში და მიუხედავად ისტორიულ სინამდვილეში ამ იდეის ყოველგვარი უგულებელყოფისა, ღმერთის წინაშე ყველა ადამიანის თანასწორობის იდეა ქრისტიანული წარმოშობისაა. ამიტომაც, მისი აზრით, სამართლიანია მტკიცება იმას თაობაზე, რომ „დემოკრატია იმ ქვეყნებში, რომლებიც მონაწილეობდნენ შუა საუკუნეების სასულიერო და საერო ხელისუფლების გაყოფაში, განვითარების უკეთესი

Sigmaringen 1997, S. 307-364. – Otto Brunner, Das Zeitalter der Ideologien, Anfang und Ende, in: Neue Wege der Verfassungs – und Sozialgeschichte, hrsg. იგივე, Göttingen, 1980, 45-63 (თავდაპ. 1954).

9 შად. Hans –Ulrich Wehler, Das Türkenproblem. Der Westen braucht die Türkei – etwa als Frontstaat gegen den Irak. Aber in die EU darf das muslimische Land niemals (დასავლეთს სჭირდება თურქეთი, როგორც მოსაზღვრე მენაპირე ქვეყანა ერაყის წინააღმდეგ. მაგრამ ევროკავშირში არავითარ შემთხვევაში არ შეიძლება შევიდეს მუსლიმური ქვეყანა), in: Die Zeit, vom 12. September 2002, S. 9

10 Heinrich August Winkler, Grenzen der Erweiterung. Die Türkei ist kein Teil des „Projekts Europa“, in: Internationale Politik 58.2, (Februar 2003) 2003, S. 59-66, აქ: S.59. – მიხივე, Europa am Scheideweg, in: Frankfurter Allgemeine Zeitung, vom 12. November, 2003, S.10.

11 Winkler, Grenzen der Erweiterung (როგორც შენიშვნა 9), 60. Dem „europäischen Sonderweg“ im Sinne Max Webers ist jetzt auch gewidmet das Buch des Mediävisten Michael Mitterauer, Warum Europa? Mittelalterliche Grundlagen eines Sonderwegs. München, 2003; Michail Borgolte, Europas Gretchenfrage, in: Süddeutsche Zeitung, 27. Oktober, 2003, 16

მანსები ჰქონდა, ვიდრე იმ ქვეყნებში, რომელთაც ეს გამოცდილება აკლდათ“.¹² დასკვნას, რომ საბერძნეთი, როგორც ბიზანტიური ევროპის ნაწილი, უკვე 1981 წლიდან ევროკავშირის წევრია, ხოლო იმავე კულტურულ-ისტორიული გარემოდან წარმოქმნილი რუმინეთი და ბულგარეთი იმედოვნებენ 2007 წლისთვის ევროკავშირის წევრად გახდომას, ვინცლერო ასევე მისაღებ გარემოებად მიიჩნევს, მეტიც, ის ეთანხმება სამხრეთ აღმოსავლეთ ევროპის ისლამური ზეგავლენის დემოკრატიების ევროკავშირში გაწევრიანების გრძელვადიან პერსპექტივას. აქ გადამწყვეტია დასავლეთთან დაახლოების პროცესში ამავე ქვეყნის წარმატებები. თურქეთთან მიმართებით კი ვინცლერი ამ შესაძლებლობას გამორიცხავს, რადგანაც დასავლეთთან დაახლოების (გადასავლურების) ღონისძიებების გატარება მეოცე საუკუნის ადრეულ წლებში ამ ქვეყანაში ხორციელდებოდა ნაწილობრივ ავტორიტარული საშუალებებით და ამ პროცესის წარმატებით დასასრულებლად, ვინცლერის აზრით, ჯერ კიდევ დიდი დრო იქნებოდა საჭირო. რუსეთის მსგავსად, თურქეთიც საკმაოდ ფართოდაა გადაჭიმული აზიურ ტერიტორიაზე.¹³

შუა საუკუნეების მოხმობა, რაც გერმანულ ისტორიასთან მიმართებით თითქოსდა სულ უფრო და უფრო ზედმეტი ხდებოდა, გამოჩენილი ნეოისტორიკოსის თვალთახედვით კვლავ საჭირო შეიქნა, რათა თანამედროვე ევროპული პოლიტიკის ფუნდამენტი შექმნილიყო. მართლაც, ძალაუფლების თანამედროვე გადანაწილება, თავისუფლება და ადამიანის უფლებები ფუძნდება/ფეხს იკიდებს „სახელმწიფოსა და ეკლესიის“ დაძაბულობის დასავლურ არეალში/ველში, უწინარეს ყოვლისა გვიანი/განვითარებული შუა საუკუნეებიდან მოყოლებული.

შუა საუკუნეებისადმი მიმართვა თითქოს ზედმეტი ჩანდა, გერმანიის ისტორიას თუ გავითვალისწინებთ, თუმცა გამოჩენილი ნეოისტორიკოსის თვალთახედვით, ეს მიმართვა მეტად საჭირო და აუცილებელი აღმოჩნდა თანამედროვე ევროპული პოლიტიკის ფუნდამენტის კონსტრუირებისათვის. ფაქტობრივად, ძალაუფლების თანამედროვე გადანაწილება, თავისუფლება და ადამიანის უფლებები ფეხს იკიდებს „სახელმწიფოსა და ეკლესიის“ დასავლური დაპირისპირების არეალში უწინარესად განვითარებული შუა საუკუნეების ეპოქიდან. ნაკლებად დამაჯერებელია განსხვავებული არგუმენტაცია ბიზანტიური წარმოშობის ან, სულაც, ისლამურ ქვეყნებსა და ხალხებთან მიმართებით. ღირსეულია ისტორიკოსების ქმედებები, როდესაც ისინი ღირებულებებზე დაყრდნობით ცდილობენ მიმდინარე, ყოველდღიურ პოლიტიკაში ჩარევას, მაგრამ ხშირად სადავო გამხდარა, როდესაც ისინი გვთავაზობენ, რომ პრაქტიკული საქმიანობისას ვინცლერის იდეოლოგიით ისტორიული გამოცდილებებით. ევროპული გაერთიანების შემთხვევაშიც შეუძლებელი იყო ისტორიის პოლიტიკური პროცესების დინამიკის იზოლირება და, რაღა თქმა უნდა, ეს მომავალშიც ასე იქნება.

საკითხის, თუ როგორ იქნებოდა შესაძლებელი ევროპულ ისტორიის ევროპის მომავალთან დაკავშირება, მხოლოდ ისტორიული ხედვების გამოყენებით შეზღუდვა შეუძლებელი იქნებოდა. მეტიც, უნდა ვადიაროთ, რომ თანამედროვე ევროპული პროცესი ნიშნავს გაწყვეტილ ურთიერთობას წარსულთან. როგორც ქვეყნების კავშირს, ევროგაერთიანებას უნდა ჰქონდეს მყარი საგარეო საზღვრები. მიუხედავად იმისა, თუ სად გავივლება ეს საზღვარი, ის მაინც წინააღმდეგობრივი იქნება ძველ ევროპასთან მიმართებით,

12 Winkler, Grenzen (შენიშვნა 9), S. 61

13 იქვე, S. 62

რომელიც არასოდეს ყოფილა მკაფიოდ განსაზღვრული ერთეული. როგორც ცნობილია, აქამდე სადავო არ ყოფილა ევროპის გავრცელება შემდეგი სამი მიმართულებით: ჩრდილოეთით, სამხრეთითა და დასავლეთით. კონტინენტი მთავრდებოდა იქ, სადაც იწყებოდა ზღვები. აღმოსავლეთის მიმართულებით არ არსებობდა ასეთი მარტივი გეოგრაფიული მარკერები, თუ არ ჩავთვლით, რომ ახალ დროში ხანდახან ურალი მიიჩნეოდა ევროპის საზღვრად¹⁴ აღმოსავლეთით შუა საუკუნეებში ეს საზღვარი გადიოდა მდინარე დონის, დნესტრისა თუ დუნაის დაჭაობებულ ადგილებზე, რაზეც ნაწილობრივ ანტიკური ავტორებიც მიგვანიშნებენ.¹⁵ შუა საუკუნეების ევროპა პოლიტიკურადაც არ იყო აღმოსავლეთის მხრიდან შემოსაზღვრული.¹⁶ ბიზანტიის იმპერია გადაჭიმული იყო და ღრმად ვრცელდებოდა აზიის მიმართულებით, ისევე როგორც მისი შემცვლელი თურქ-ოსმალების სასულთნო, ხოლო მონღოლების ოქროს ურდო რუსეთში მათი ბატონობის დროს ნამდვილად ვრცელდებოდა ევროპის ტერიტორიაზე. ასეთივე მდგომარეობა გვაქვს რელიგიური წესრიგის თვალსაზრისითაც. კონსტანტინოპოლი და მოგვიანებით მოსკოვი, როგორც ორთოდოქსული ქრისტიანული ეკლესიის ცენტრები, მოიპოვებოდა ევროპულ-აზიურ ეკლესიათა მეთაურებად. ხოლო რაც შეეხება ისლამს, მან სიცილიიდან განდევნის, ანდალუზიაში მისი მარგინალიზაციის შემდეგ შეძლო ბალკანეთზე გავრცელებისა და თათრების კონვერსიის წყალობით ევროპის აღმოსავლეთ ნაწილში თვისი მანამდე სუსტი პოზიციების გაძლიერება. ამასთან დაკავშირებით ყურადღება უნდა მიექცეს იმ გარემოებას, რომ ევროპელები, როგორც მონოთეისტები, განურჩევლად იმისა, ქრისტიანები იყვნენ ისინი, იუდეველები თუ მუსლიმები, დიდ პატივს სცემდნენ აზიაში თავიანთ წარმომავლობის ადგილებსა და სამწერლო ტრადიციებს და ამ ადგილებს ხშირად სტუმრობდნენ, როგორც სათნო პილიგრიმები ან სწავლის მოსურნენი.¹⁷ არაქრისტიანული აღმოსავლეთიდან შემოდიოდა ევროპაში ტექნიკური ინოვაციები და ანტიკური და შორეულადმოსავლური მეცნიერების უმნიშვნელოვანესი ტრადიციები.¹⁸ ბერძენი ფილოსოფოსებისა და ბუნებისმეტყველების ნაშრომები ხალიფაბში ჯერ არაბულად ითარგმნებოდა, ვიდრე ისინი განვითარებულ შუა საუკუნეებში სამხრეთ ევროპაში გავრცელდებოდა და აქ, ხშირად ებრაელი სწავლულების დახმარებით, ეს ნაშრომები ითარგმნებოდა ლათინურად. ევროპასთან მსგავს შუამავლობას ეწეოდნენ არაბი მუსლიმები და აღმოსავლეთში მოგზაური სხვა ადამიანები, რომელთა როლიც მნიშვნელოვანი იყო ინდოეთის მათემატიკისა და ასტრონომიის სფეროებისთვის,

14 Norman Davies, *Europe. A History*. Oxford, New York, 1996, ND 1997, S. 8; Michael Borgolte, *Türkei ante portas*, in: *Frankfurter Allgemeine Zeitung*, vom 21. Februar 2004, S. 39.

15 შეად. Michael Borgolte, *Vor dem Ende der Nationalgeschichten? Chancen und Hindernisse für eine Geschichte Europas*, in: *Historische Zeitschrift* 272, (2001), S. 561-596, აქ: S. 567 (36) mit Anm. 29 f.

16 აქ და შემდგომ შეად., *Die Komposition Europas*. in: *Enzyklopädie des Mittelalters*, hrsg. von Gerd Melville (ბექდვაში); მისივე, *Theorie und Praxis des Vergleichs in der europäischen Geschichte des Mittelalters. Der Fall Litauen in makrohistorischer Perspektive*, (ბექდვაში), აქ შენიშვნა 47.

17 შეად. Michael Borgolte, *Zwischen Erfindung und Kanon, Zur Konstruktion der Fakten im europäischen Hochmittelalter*, in: *Nova de veteribus : Festschrift für Paul Gerhard Schmidt*, hrsg. Andreas Bihrer, Elisabeth Stein, Leipzig 2004, S. 292-325; იგივე: *mittel und neulateinisches Studium für Paul Gerhard Schmidt*. მისივე, *Europa entdeckt seine Vielfalt 1050-1250*, Stuttgart 2002, S. 280 ff.

18 იქვე და S. 310 ff. – Jetzt bahnbrechende Monographie von Alain de Libera, *Denken im Mittelalter*. München, 2003; ამასთან Michael Borgolte, in: *Frankfurter Allgemeine Zeitung*, vom 22. Dezember, 2003, S. 37;

ან კიდევ ისეთი გამოგონებისათვის, როგორცაა ქარის წისქვილი, რომელიც ირანული წარმოშობისაა.

ცხადია, ევროპას გეოგრაფიულად, რელიგიურად და კულტურულად ღია აღმოსავლური ფლანგი ეჭირა და ეს გარემოება ბოლოს და ბოლოს აღიარებული უნდა იქნეს. ამ დასკვნამ მსოფლიო ისტორიაში ევროპის პროფილი გამოკვეთა. როგორც ამ ცოტა ხნის წინ ერნსტ პიტცმა თავისი გვიანდელი ანტიკური ხანისა და ადრეული შუა საუკუნეებისადმი მიძღვნილი მონუმენტურ ნაშრომით გვიჩვენა, ეს თავისებურება იმით იყო განპირობებული, რომ ევროპა უკვე ადრეული ხანიდან ხმელთაშუა ზღვის ბერძნულ-რომაული სივრცის ნაწილი იყო.¹⁹ პიტცის მოსაზრებით, კონტინენტის ისტორიული ერთიანობა ხმელთაშუა ზღვის ირგვლივ და „ამასთან ერთად, მისი პრობლემური დამოკიდებულება დასავლეთის ქვეყნებსა და ევროპასთან“ არ მთავრდება არც კარლოს დიდის,²⁰ როგორც ანრი პირენი ამტკიცებდა, და არც უფრო მოგვიანებით, დაახლოებით ესპანეთის მეფე ფილიპ მეორის შემთხვევაში XVI საუკუნეში, როგორც ამას, შესაძლოა, ფერნანდ ბრაუდელი ვარაუდობდეს; მისი აზრით, ის გრძელდება კიდევ უფრო დიდხანს, დიახ, ის „ნელ-ნელა ძლიერდება და ჩვენს დრომდე სულ უფრო მძლავრად იძენს აქტუალობას“.²¹ თუმცა, როგორც მკვლევარი აღნიშნავს, ეს სამყარო ანტიკურ ხანასა და შუა საუკუნეებში შეუცვლელი არ დარჩენილა. იმპერატორ ავრელიანის დროიდან მოყოლებული, ძველი სამყაროს დაუმორჩილებელმა მენაპირე ხალხებმა დაშალეს უძველესი კულტურის ეს ერთიანობა და ხელი შეუწყვეს ჯერ დასავლეთის ქვეყნებად და ბიზანტიად ამ ერთიანობის დაშლას, შემდეგ კი, აღმოსავლეთის ბერძნულ ქრისტიანობად და ისლამურ მმართველობად გახლეჩით, სამნაწილიანი ხმელთაშუა ზღვის სამყაროს ჩამოყალიბებას. ამ სამ კულტურას ხმელთაშუა ზღვის ირგვლივ შუა საუკუნეებში, მართალია, კონკურენტული ურთიერთობა ჰქონდა, მაგრამ, ვინაიდან ისინი, იმავდროულად, ბერძნულ-რომაული სამყაროს მემკვიდრეები იყვნენ, მიუხედავად გარკვეული დაძაბული ურთიერთობისა, მათ მაინც შეინარჩუნეს ერთიანობა. უკანასკნელი დიდი კონფლიქტი აღმოსავლეთსა და ევროპის ქვეყნებს შორის ამ თვალსაზრისით იყო სპარსეთის ყურის ომი 1991 წელს, როგორც ამას ერნსტ პიტცი 2001 წელს წერდა.²² ვინც არ იკმარებს, აღმოსავლეთი უცერემონიოდ გაუთანაბროს კაროლინგების იმპერიას ან ევროპის კონტინენტს და ვინც მის ნაცვლად სვამს კითხვას – რატომ ეკუთვნის ანდალუსია და სიცილია თავიანთი მუსლიმური წარსულით ევროპას, ან კიდევ ბალკანეთის ნახევარკუნძული, ისევე როგორც აღმოსავლეთ ევროპული ქვეყნები თავიანთი ბიზანტიური წარსულით ევროპას – მას არ შეუძლია, ბიზანტიის იმპერია და ოსმანთა იმპერია გაყოს ბოსფორთან; ის შეუძლებელია დაკმაყოფილდეს ძველი არაბული დასავლეთის გიბრალტართან გამოყოფით, მით უმეტეს, თუ ის შუა საუკუნეების ისტორიის გადასახედიდან აკვირდება თანამედროვეობას. „მან უნდა ეძებოს პასუხი კითხვაზე: ძველი ხმელთაშუა ზღვის სამყაროს ნაწილის ისტორიულმა ერთობამ ხომ არ გადაიტანა რომის იმპერიის ნგრევა და თავისი კვალი ხომ არ და-

19 Ernst Pitz. Die griechisch-römische Ökumene und die drei Kulturen des Mittelalters. Geschichte des mediterranen Weltteils zwischen Atlantik und Indischem Ozean 270-812, Berlin 2001; შემდეგი ბორგოლტეს მიხედვით: Michael Borgolte, Mediävistik im 21. Jahrhundert. Stand und Perspektiven der internationalen und interdisziplinären, hrsg. von Hans Werner Goetz und Jörg Jarnut, München 2003, 313-325, აქ: S. 316-318.

20 Pitz. Ökumene (შენიშვნა 18), S. 544. აქედან აგრეთვე შემდეგი ციტატა.

21 იქვე, 544

22 იქვე, 542 f.

ტოვა იმ სამი კულტურის საძირკველში, რომლებიც შუა საუკუნეებში ჩამოყალიბდა რომის იმპერიის შემდეგ”.²³

ჩვენი დროისათვის დამახასიათებელი პოლიტიკური ინტეგრაციითა და გარდაუვალი საზღვრებით, რომლებიც ასე თუ ისე ძველ კულტურულ ურთიერთდამოკიდებულებებს არღვევს, ევროპა შედის თავისი ისტორიის სრულიად ახალ ფაზაში. ჯერ კიდევ არ დადგენილა, თუ რა მიმართებით იქნება ის ცხადი მოგება, განსაკუთრებით ეკონომიკურ სფეროში, კულტურულ დანაკარგებსა და რისკებთან მიმართებით, რომლითაც შეიძლება ახალი გამონაკლისები დაუშვას. კონკრეტული ასპირანტი ქვეყნების უარი ამძაფრებს კონფლიქტის პოტენციალს ევროკავშირის შიგნითაც, რადგან გაერთიანების ამჟამინდელ სახელმწიფოებში განსხვავებული კულტურები უკვე თანაარსებობენ და ერთმანეთზე ზემოქმედებენ. სავსებით გამართლებული იქნება, თუკი ამ კულტურულ განსხვავებებს, როგორც ეს აგრეთვე ჰაინრიხ ავგუსტ ვინკლერმა გააკეთა – იმ რელიგიურ საფუძვლებთან მიმართებით განვიხილავთ, რომლებიც შუა საუკუნეებში შეიქმნა: რომაულ-კათოლიკური და ბერძნულ-ორთოდოქსული ქრისტიანობა, ისლამი და, რა თქმა უნდა, იუდაიზმი. თანამედროვეობის ყოველგვარი სეკულარიზირების პირობებში უწინარესად თვალსაჩინოა სამი დიდი მონოთეისტური რელიგიის ხანგრძლივი ეფექტი ოთხი სისტემის სახით თანამედროვე ევროპაზე. ამდენად, ევროპა დღესაც და ხვალაც მაინც რჩება შუა საუკუნეების მაგიური ზეგავლენის ქვეშ. მეტიც: ნაციონალური სახელმწიფოების შემცირებულმა მნიშვნელობამ დასაბამი მისცა მრავალი კულტურის ძველი ისტორიული მემკვიდრეობის, როგორც ევროპის განმსაზღვრელი ძალის, მკვეთრად გათვითცნობიერებას.

აქედან გამომდინარე, ზოგიერთები შესაძლოა დაინტერესდნენ მეცნიერებით, მედიევისტებით. სხვა დისციპლინების წარმომადგენლების მსგავსად, შუა საუკუნეების სპეციალისტები განზე ვერ დარჩებიან არსებული ისტორიის მიმართ. მართალია, შუა საუკუნეების სპეციალისტებმა უნდა მოითხოვონ თავიანთი კვლევების ავტონომია, თუმცა ისიც საჭიროა, რომ, თანამედროვეობის მოთხოვნილებებიდან გამომდინარე, მათ დროდადრო ხელახლა გადახედონ თავიანთ პროექტებს. ჩემი აზრით, აქ საქმე ეხება არა ნაუცხადევ მისადაგებას პოლიტიკურად სასურველსა და სავარაუდოდ აუცილებელთან, არამედ ქმედების განმსაზღვრელ პრობლემის ანალიზთან. და სწორედ, ვინაიდან კულტურული განსხვავებების, რომლებსაც შუა საუკუნეებში აქვთ ფესვები გადგმული, შეზღუდვაზე შეუძლებელია გარედან გადაწყვეტილების მიღება, ვფიქრობ მიზანშეწონილია, რომ შუა საუკუნეების კვლევები დღესაც და ხვალაც უფრო მეტად, ვიდრე აქამდე, მივმართოთ რელიგიურად დაფუძნებული დიდი კულტურების ურთიერთობებზე, ზეგავლენებსა და კონფლიქტებზე.²⁴ მე ამ გზას არ შემოგთავაზებდით, რომ არ მწამდეს ახალი კრეატიული კვლევების პოტენციალისა, რომლის შეფასება არ არის იოლი.

თავდაპირველად უნდა გაირკვეს, თუ რომელი სამუშაო ფორმების განხორციელებას შეიძლება შიდა და ტრანსკულტურულად ორიენტირებული მედიევისტიკა და რა მიზნებს უნდა ისახავდეს ის. თუკი ცნება „მედიევისტიკაში“ იმ საგნების მოაზრება გვსურს, რომ-

23 იქვე, 543.

24 შეადარეთ: Michael Borgolte, „Europa ein christliche sland“. Religion als Weltstiefterin im Mittelater?, in: Zeitschrift für Geschichtswissenschaft 12, (2000), S. 1061-1077 ; Unaufhebbare Pluralität der Kulturen? Zur Dekonstruktion und Konstruktion des mittelalterlichen Europa. hersg. vom dems. München 2001; მიხეილ, Kulturelle Einheit und religiöse Differenz. Zur Verbreitung der Polygynie im mittelalterlichen Europa. in: Zeitschrift für Historische Frschung 31 (2004), S. 1-36; იგივე., Komposition (შენიშვნა 15); იგივე., Erfindung (შენიშვნა 15).

ლებიც შუა საუკუნეებს იკვლევენ, მაშინ უნდა აღინიშნოს, რომ ამგვარი ორგანიზებული ერთიანობა არსად არ არსებობს სამყაროში. სამოციან წლებში, ძირითადად აშშ-ში დაარსებული შუა საუკუნეების კვლევების ცენტრები კონცენტრირებულნი არიან ისტორიკოსებისა და ფილოლოგების ალიანსზე.²⁵ 1983 წელს გერმანიაში შექმნილმა კავშირმა თავი მოუყარა მედიევისტის ყველა დისციპლინის წარმომადგენელს. გაერთიანების პრეზიდენტმა თავდაპირველად ისინი ჩამოთვალა: ისტორიკოსები, შუა საუკუნეების არქეოლოგები, ხელოვნების ისტორიკოსები, თეოლოგები, მედიცინის ისტორიკოსები, სამართლის ისტორიკოსები, მუსიკოლოგები, ყველა მიმართულების ფილოლოგები, ე.ი. შუა საუკუნეების ფილოლოგები, გერმანისტები, ანგლისტები, რომანისტები, სკანდინავისტები, სლავისტები და სხვ.²⁶ ჰანს ვერნერ გოეტცმა, რომელიც თავადაც ისტორიკოსია, დაადგინა, რომ „ევროპული მედიევისტის მთლიანობაში დასავლეთცენტრისტულად“ რჩება: „შედარებითი ანალიზები ბიზანტიასთან, ისლამსა და სრულად აზიურ კულტურებთანაც კი არსებობს, ყოველ შემთხვევაში კრებულებში.²⁷ იქ, სადაც სულ ახლახან გერმანულ უნივერსიტეტებში მედიევისტის სწავლების ცენტრები გაიხსნა, მაგალითად ბამბერგში, მიუხედავად ამისა, მაინც არ არის გამორიცხული ისეთი საგნები, როგორებიცაა „ირანისტიკა“ ან „ისლამური ხელოვნება და არქეოლოგია“.²⁸ ამჟამად, რომ ამ სახის კოპერაცია ეფუძნება ადგილზე არსებულ შეთავაზებებს და შანსებს, რომლებიც არსებობს ადგილებზე და არა რაიმე განსაზღვრულ მოწყობის პრინციპებს. თუმცა მედიევისტის გავრცელებული კონცენტრირება დასავლეთ ევროპაზე, როგორც დეფიციტი, ისე აღიქმება, მაგრამ, იმავდროულად, ცნობილია მის დაძლევისთანავე დაკავშირებული პრობლემები. ჯერ კიდევ 1999 წელს რომანისტი ვოლფგანგ რაიბლე წერდა: „ვერავინ ვერ უარყოფს, რომ ევროპული შუა საუკუნეები შეიძლება განხილულ იქნეს, როგორც ერთი დიდი კულტურული სივრცე, რომელიც თუმცა გამოკვეთილად დასავლურ-ქრისტიანული ხასიათისაა, მაგრამ მაინც აქტიურ გაცვლით ურთიერთობებშია ბიზანტიურ და ისლამურ სამყაროსთან. რა თქმა უნდა, გონივრული იქნებოდა, თუკი ის დისციპლინები, რომლებიც შუა საუკუნეებს შეისწავლიან, ამ გარემობას გაითვალისწინებენ და ისეთ გაერთიანებებს ჩამოაყალიბებდნენ, სადაც სქოლასტიკურ ფილოსოფიას, თეოლოგიას, ისლამისტიკას, ბიზანტინისტიკას, შუა საუკუნეების ისტორიას, ისეთივე ადგილი ექნებათ მიჩენილი, როგორიც იმ დისციპლინებს, რომლებიც შეისწავლიან დამწყები შუა საუკუნეების დამწერლობის კულტურებს, იქნება ეს გერმანული, იტალიური, ფრანგული, ესპანური თუ სხვა“.²⁹

მაგრამ ასეთი იდეალური წარმოდგენები აბსოლუტურად არარეალიზებადია. მათ უპირისპირდებათ როგორც მეცნიერულ-სოციოლოგიური, ისე, უპირველეს ყოვლისა, მეცნიერულ-ისტორიული მიზეზები. ეს დისციპლინები, როგორც XIX საუკუნის პირმშობები,

25 შუად., Ursula Schaefer, Mediävistik – heute?, in: Medieval Insular Literature between the Oral and the Written II. Continuity of Transmission. hrsg., von Hildegard L.C. Tristram, Tübingen 1997, S. 9-28, განს., S. 11, 18.

26 Hans – Werner Goetz, Moderne Mediävistik. Stand und Perspektiven der Mittelalterforschung, Darmstadt, 1999, S. 141.

27 იქვე, S. 13

28 Bernd Schneidmüller, Das Zentrum für Mittelalterstudien an der Universität Bamberg, in: Das Mittelalter 4, 1, (1999), S. 93-98, აქ: S. 93 f.

29 Wolfgang Raible, Zur Interdisziplinarität in den Kulturwissenschaften, in: Das Mittelalter 4, 1, (1999), S. 65-68, აქ: S. 66.

მჭიდროდ არის დაკავშირებული თავიანთ ეროვნულ-ისტორიულ თუ ნაციონალ-ენობრივ საწყისებთან და როგორც საუნივერსიტეტო საგნებს, აქვთ ტენდენცია მიკერძოებისაკენ.

ეს განაჩენი მაშინაც ძალაშია, თუკი კარგად დავაკვირდებით ამ საგნებს, რომელთათვისაც გათვალისწინებული უნდა იყოს ახალი, ტრანსკულტურულად ორიენტირებული ევროპული შუა საუკუნეების კვლევა.³⁰ შუა საუკუნეების ისტორია წარმოადგენს ზოგადი ისტორიული მეცნიერების ნაწილს, რომელიც საკითხების, მასალებისა და მეთოდების მიხედვით მჭიდროდაა დაკავშირებული ძველ და ახალ ისტორიასთან.³¹ ბიზანტინისტიკა კი მხოლოდ იმ მონაკვეთს მოიცავს, რომელსაც დასავლეთში შუა საუკუნეებს უწოდებენ,³² მისთვის ნიშანდობლივია, ყოველ შემთხვევაში ეს ასეა გერმანიის ფედერაციულ რესპუბლიკაში – დომინანტური ფილოლოგიური ძირი და ძალიან სუსტი ისტორიული განმტოვებები.³³ აღმოსავლეთ ევროპის ისტორია არ შემოიფარგლება მხოლოდ შუა საუკუნეებით. ის მოიცავს მეტწილად სლავი და სხვა ხალხების მთლიან ისტორიას გერმანიის აღმოსავლეთით.³⁴ იუდაისტიკა და ისლამისტიკა, ისტორიის გარდა, მოიცავს თავიანთი სასწავლო ობიექტების მთლიან კულტურას.³⁵ იუდაიზმთან მიმართებით გერმანიაში უზომოდ დიდი საგამომცემლო პრობლემების გათვალისწინებით, დომინირებს ფილოლოგიური წვდომა, მაშინ როდესაც ისლამის მეცნიერებისათვის ევროპას განაპირა პოზიცია უჭირავს.

დისციპლინები, რომელთა კვლევის საგანია ევროპის შუა საუკუნეების სხვადასხვა კულტურა, თავიანთი ახლანდელი მდგომარეობით, უკიდურესად ასიმეტრიულ პოზიციაში არიან ერთმანეთის მიმართ. თუკი მოვისურვებთ მათ მოქცევას ერთ მეგადარგში – „ტრანსკულტურული მედიევსტიკა“, მაშინ თითოეული მათგანი იძულებული იქნება, დათმოს თავისი საქმიანობის ერთობ ძვირფასი არეალი. ამას, რასაკვირველია, არავინ ისურვებს; მაგრამ არ შეიძლება სათანადოდ არ დავაფასოთ ის უპირატესობები, რომლებიც აქვს სხვადასხვა დარგის შუა საუკუნეების სპეციფიკური კვლევის განსხვავებულ მიდგომებს. ჰერმეტიკული საგანი – მედიევსტიკა, რომელსაც აქვს შემაკავშირებელი ხაზები სხვა დროებთან თუ, შუა საუკუნეების გარდა, სხვა არსებულ კულტურულ მოვლენებთან, უეჭველი გადარიბდებოდა და დაემუქრებოდა, გამხდარიყო პროვინციული საკუთარი თვითგამარობის გამო.

დღეს და უახლეს მომავალში შესაძლოა უფრო ინტენსიური თანამშრომლობის ცდა ყველა იმ დისციპლინასთან, რომლებიც კონცენტრირებულია ევროპული შუა საუკუნეების სხვადასხვა კულტურაზე. სიახლე გახლავთ და, ამასთან, ყურადღების ცენტრში უნდა იყოს ტრადიციულ ლათინურ ევროპაზე მიმართული დისციპლინების კოოპერაცია ბიზანტინისტიკასა და იუდაისტიკასთან, ისლამისტიკასა და აღმოსავლეთ ევროპულ ისტორიასთან. გერმანიაში ასეთი კოოპერაციის თავმოყრად ერთ წერტილში ძნელად წარმოსადგენია, რადგან გერმანიის უნივერსიტეტებში დისციპლინების შესაბამისი გა-

30 შემდეგ: Michael Borgolte, *Mittelalterwissenschaft im Zeichen der Pluralitätserfahrung*, in: *Pluralität* (შენიშვნა 22), S. 1-6, S. 4f.

31 შეად., *Geschichtswissenschaften, Eine Einführung*, hrsg. von Christoph Cornelißen, Frankfurt am M. 2000; *Geschichte. Ein Grundkurs*, hrsg. von Hans-Jürgen Goetz, Reinbek bei Hamburg 1998.

32 შეად., Ralph-Johannes Lilie, *Byzanz, Das zweite Rom*, Berlin, 2003, S. 11 ff.

33 Ralph-Johannes Lilie, *Byzanz und das lateinische Europa, Verbindungen-Brüche-Gegensätze. Zu einer möglichen Kooperation von Mediävistik und Byzantinistik*, in: *Pluralität* (შენიშვნა 22), S. 19-39, განსაკ. S. 24f.

34 შემდეგ., Dittmar Dahlman, *Osteuropäische Geschichte*, in: *Geschichtswissenschaften*, (შენიშვნა 29), S. 206-220.

35 Michael Toch, *Die Juden im mittelalterlichen Reich*, München, 1998, S. 69-76; Tilman Nagel, *Die islamische Welt bis 1500*, München, 1998, S. XI-XIII;

ნაწილება, როგორც წესი, არ არსებობს. ეს ნიშნავს, რომ საქმე ეხება ზერეგირონულ ურთიერთკავშირებს. საქმეს ართულებს ის გარემოებაც, რომ ხსენებული დისციპლინები გერმანიაში სავსებით განსხვავებული ინტენსივობით არის გავრცელებული და, ტრადიციული ამოცანებით მათი გამოყენების გარდა, ისინი არ გამოიყენება ნებისმიერი სასურველი კოოპერაციისათვის სხვა დისციპლინებთან. ამიტომაც მედიევისტიკა, რომელიც, დასავლეთევროპული ქრისტიანული სამყაროს გარდა, თავის გამოკვლევებში მოიცავს ბერძნულ-სლავურ ორთოდოქსულ სამყაროს, ევროპულ იუდაიზმს და ისლამს, უფრო მეტადაა დამოკიდებული საერთაშორისო თანამშრომლობაზე, ვიდრე სხვა ინტერდისციპლინური პროექტები.

არ უნდა დაგვაეჭვოს იმან, რომ უკვე ნახსენები აქამდე ეგზოტიკური დისციპლინები მზად არის კოოპერირებისათვის. ბიზანტინისტიკმა უკვე რამდენიმე ათწლეულის წინ მნიშვნელობა მიანიჭეს აღმოსავლეთ რომის იმპერიის წვლილს შუა საუკუნეების ევროპაში.³⁶ მიუხედავად იმისა, რომ XX საუკუნის მედიევისტიკის ბევრი წამყვანი სპეციალისტი, როგორებიცაა პერსი ერნსტ შრამი, ერნსტ ჰ. კანტოროვიჩი, იოზეფ დეერ და პეტერ კლასენი, თავად მიმართავდნენ ბერძნულ მითოლოგიას.³⁷ ამ შედარებით პატარა დისციპლინის წარმომადგენლები წარსულშიც და დღესაც მოითხოვდნენ უფრო მეტ ყურადღებას თავიანთი უფრო ძლიერი მეზობლისაგან.³⁸ ანალოგიური ვითარებაა აღმოსავლეთ ევროპის ისტორიის მიმართებითაც. ჯერ კიდევ ომის დასრულების შემდეგ წლებში ამერიკაში ემიგრირებული ვენელი მეცნიერი, ოსკარ ჰალეკი თავის ძალიან პოპულარულ ორ წიგნში აფრთხილებდა დასავლურ ისტორიოგრაფიას, რომ თვალს ნუ არიდებდნენ აღმოსავლეთ ევროპას და, სახელდობრ, რომაული ეკლესიის ზეგავლენის მქონე აღმოსავლეთ ევროპის ქვეყნებსა და ხალხებს.³⁹ მიუხედავად ამისა, მიუნსტერელმა მეცნიერმა ფრანკ კემფერმა ორი წლის წინათ საბაბი მოძებნა, მედიევისტიკისთვის საბრალდებო დასკვნა გამოეტანა,

36 Franz Dölger, *Byzanz und die europäische Staatenwelt. Ausgewählte Vorträge und Aufsätze*. Ettal, 1953, S. 3: „ჩემი სურვილი კი არის: იმ წელს, როცა 500 წლის წინ, ევროპის სამხრეთ აღმოსავლეთში დამოუკიდებელი ქრისტიანული იმპერია განადგურდა, ამ თხზულებებს წვლილი შეეტანა, რომ შეძლებისდაგვარად გაეაქტიურებინა ფართო წრეებში მეხსიერება იმ პოლიტიკური და სულიერი ძალის მიმართ, რომელიც ქრისტიანული შუა საუკუნეების ისტორიის ჩვენს საყოველთაოდ მიღებულ სურათში, განმანათლებლობიდან მოყოლებული უმართებულოდ არის უკანა პლანზე გადაწეული. შესაძლოა ეს არ ყოფილიყო იმ ეპოქაში, რომელიც ჩვენ ბიზანტიურ მემკვიდრეობას გაგვახსენებდა, რომლის მემკვიდრე თითქმის ყველა ევროპელი ხალხია, განსაკუთრებით კი ჩვენი სამხრეთევროპელი მეზობლები. მრავალმხრივი კავშირების ცნობიერად გააზრება, რომლებიც ჩვენი აზროვნების ყაიდას და ისტორიას იმ ეკონომიკურად ძლიერი და პოლიტიკურად, სულიერად მდიდარ ბიზანტიას უკავშირებდა, რომელიც ჩვენს წინაპრებს ადაფრთოვანებდა და რომელსაც უნდომლად ჰბაძავდნენ (1952 წლის ნოემბერი, წინასიტყვაობა).

37 შეად., Percy Ernst Schramm, *Herrschaftszeichen und Staatssymbolik*, 3 Bde. Stuttgart, 1954-1956; იმავესი: *Kaiser, Könige und Päpste, Gesammelte Aufsätze zur Geschichte des Mittelalters*, 4 Bde. Stuttgart, 1968-1971. – Ernst H. Kantorowicz, *Das Problem mittelalterlichen Welteinheit*, in: *Götter in Uniform. Studien zur Entwicklung des abendländischen Königtums*. hrsg. von Eckhart Grünewald, Ulrich Raulff. Stuttgart, 1998, S. 148-154 (zuerst amerikanisch 1942); ამასთან, Borgolte, „Europa ein christliches Land“ (შენიშვნა 22), S. 1061 f. Jasef Deer, *Byzanz und das abendländische Herrschertum, Ausgewählte Aufsätze*, hrsg. von Peter Classen, Sigmaringen, 1977, Peter Classen, *Ausgewählte Aufsätze*. hrsg. vom Josef Fleckenstein. Sigmaringen, 1983, S. 85 ff.

38 Lilie, *Byzanz und das lateinische Europa*, (შენიშვნა 31), S. 20

39 Oskar Haleki, *The Limits and Divisions of European History*. London/New York 1950 (გერმ., Europa. Grenzen und Gliederung seiner Geschichte, Darmstadt 1957), მიხივე, *Borderlands of Western Civilisation. A History of East Central Europe*, 1954, (გერმ., Grenzen des Abendlands. Eine Geschichte Ostmitteleuropas, Salzburg o.J. [1957]. – ასევე შეად., Michael Borgolte, *Ostmitteleuropa aus der Sicht des Westens*, in: *Ostmitteleuropa im 14-17. Jahrhundert – eine Region oder Region der Regionen?* hrsg., von Marian Dygo, Sławomir Gawlas und Hieronim Grala, Warszawa, 2003, S. 5-19, აქ: S. 9-11.

რომ შესაძლოა „ვიწრო რეგიონული მეცნიერების გზაზე“ აღმოჩენილიყო: „შუა საუკუნეები არის ბერძნულ-რომაული ანტიკურობის შვილობილი კულტურა მთელი თავისი სისავსით“ აი, ასე ჟღერს კემფერის ანტიტეზისი: „ამიტომ მე ამოვდივარ იქიდან, რომ მედიევისტების მხრიდან ენის ცოდნის მიუხედავად, სუბკონტინენტ ევროპის აღმოსავლეთ ნაწილიც ევროპულ ისტორიას წარმოადგენს.“⁴⁰ იუდაისტისა და ისლამისტის მიმართ ასეთი უკმაყოფილება შესაძლოა, არ იყოს დასაბუთებული. და მაინც, შეიძლება გავიხსენოთ, რომ დამასკელი წარმოშობის მეცნიერი ბასამ ტიბი, რომელიც გიოტინგენში საერთაშორისო ურთიერთობებს ასწავლის, მთელი არსებით მხარს უჭერს გერმანიაშიც ისეთივე მიდგომა იყოს ისლამის ისტორიისადმი, როგორც ეს აშშ-შია.⁴¹ ტიბის დიდი იმედებს აძლევს საკუთარი დაკვირვებიდან გამოტანილი დასკვნა იმის შესახებ, რომ ევროპაში, ე.ი გერმანიაშიც, არასოდეს ყოფილა, როგორც ეს ღდესაა, ასე ძლიერი იმის ნება, რომ ასე გახსნილი და ტოლერანტული დამოკიდებულება ჰქონდეთ სხვა კულტურებისადმი და უპირველეს ყოვლისა სხვა არადასავლური კულტურებისადმი, მათი ცივილიზაციებისა და ისტორიისადმი.“⁴² ტიბოსთან ერთად, ფლორენციელი მედიევისტი ფრანკო კარდინი ევროპისა და ისლამის აქამდე არსებულ ურთიერთობას გვიხატავს, როგორც „გაუგებრობის ისტორიას“.⁴³ თუკი შუა საუკუნეების ავტორებს მაინც სხვანაირად უნდათ ამის გაგება, ევროპა უფრო ნაკლებად შეიძლება იდენტიფიცირდეს ქრისტიანობასთან, როგორც ისლამი აზიასთან.⁴⁴ ისლამისტის მსგავსად, იუდაისტის შემთხვევაშიც მედიევისტმა საჭირო ხიდეები გადო. იერუსალიმის ებრაული უნივერსიტეტის თანამშრომელ მიხაელ ტოხს სანიმუშოდ და ქეზის ღირსად მიაჩნია ის გარემოება, თუ რაოდენ ინტენსიურად მიმდინარეობს დღესდღეობით გერმანიაში ებრაულ ისტორიაზე მუშაობა.⁴⁵ ის, ამასთან ერთად, ასახელებდა ტრირის სკოლის წარმომადგენელს ალფრედ ჰავერკამპს, რომელიც, თავის მხრივ, წუხს გერმანულ საზოგადოებაში თემისადმი – „ებრაელები შუა საუკუნეებში“ – ნაკლები დაინტერესებით.⁴⁶

შუა საუკუნეების ევროპის შედარებითი ისტორიის ბერლინის ინსტიტუტში ამ ბოლო დროს ჩვენ წავაწყდით შუა საუკუნეების ტრანსკულტურული კვლევის მიმართ გამოვლენილ დიდ დაინტერესებას. 2000 წლის სექტემბერში აახენის ისტორიკოსების დღისადმი მიძღვნილ ღონისძიებაზე ჩვენ მიერ გამართულმა სექციამ, რომელიც შუა საუკუნეებში ევროპის კულტურის იდენტობის საკითხს ეძღვნებოდა და სხვადასხვა დისციპლინის წარმომადგენლებს აერთიანებდა, მოულოდნელად დიდი დაინტერესება გამოიწვია.⁴⁷ ჩვენ მხოლოდ 2003 წლის გაზაფხულზე მოვახერხეთ სიმპოზიუმის ჩატარება, რომელიც ეხებოდა „ძველი ევროპის დიდი კულტურების ფონდებს“.⁴⁸ მართალია, უკვე დიდი ხნის წი-

40 Frank Kämpfer, Über den Anteil Osteuropas an der Geschichte des Mittelalters, in: Pluralität (შენიშვნა 22), S. 49-59, აქ: S. 50 f.

41 Bassam Tibi, Einladung in die islamische Geschichte. Darmstadt, 2001, განს. 7ff., 23 f., S. 138, 147, 155 ff.

42 იქვე: S. 8.

43 Franco Cardini, Europa und der Islam. Geschichte eines Missverständnisses, München 2000 (მანამდე იტალ. 1999).

44 იქვე: S. 12 f. – შეად., ახლა განსაკტ. ნაშრომი Libera, Denken (შენიშვნა 17).

45 Toch, Juden (შენიშვნა 33), S. 75.

46 Alfred Haverkamp, Juden im Mittelalter, Neue Fragen und Einsichten, in: Informationen für den Geschichts- und Gemeinschaftskundelehre 59, (2000), S. 5-23, აქ: S. 5;

47 Borgolte, Pluralität (შენიშვნა 22); შეად., Ulrich Raulf, In ihrem alten Dieseltone. Brummen im Kopf, Was deutsche Historiker im Fahrt bringt, in: Frankfurter Allgemeine vom 2. Oktober 2000.

48 შეად., den Tagungsbericht von Tillman Lohse, in: H-Soz-u-Kult vom 21. Juli 2003.

ნათ იყო ცნობილი, რომ ფონდები უნივერსალურ-ისტორიულ ფენომენებს წარმოადგენს – რა თქმა უნდა, სამართლებრივი კონსტრუქციის, სულიერ-რელიგიური საფუძვლებისა და პრაქტიკული მიზნობრიობის მნიშვნელოვანი ვარიანტებით – მაგრამ მაინც არ არსებობდა ტრანსკულტურული შედარება.⁴⁹ ამ ნაკლზე მიუთითებდა მხოლოდ კვლევების კონტროლ-ვერსულობა, ასე მაგალითად, ისლამური ფონდების ჩამოყალიბება ბერძნული ან სასანი-დური ნიმუშების მიხედვით, ან კიდევ მედრესების დამოკიდებულება ევროპული უნივერ-სიტეტების საბჭოებთან.⁵⁰ მედიევისტთა ინტერდისციპლინური დიალოგის წარმართვის მიზნით ბიზანტინისტებთან, აღმოსავლეთ ევროპის ისტორიკოსებთან, იუდაისტებთან, ის-ლამისტებთან, არაბისტებსა და თურქოლოგებთან, გერმანიაში არ იყო საკმაო რაოდენო-ბის სპეციალისტი. ამდენად, ჩვენ მოგვიწია საერთაშორისო კონფერენციის ჩატარება, მრავალი ამერიკელი კოლეგის მონაწილეობით. კონცენტრაციამ ნათლად ჩამოყალიბებულ ფენომენზე სხვადასხვა კულტურაში თვალში საცემი ანალოგიებით, თუმცა საგანგაშო გან-სხვავებებით, დღის სინათლეზე გამოიტანა რიგი საკითხები, რომლებიც ამჟამად, როგორც ვიმედოვნებთ, შესაძლებელია შესწავლილი ყოფილიყო ტრანსკულტურული და საერთა-შორისო ორგანიზაციების ერთობლივ პროგრამებში. დაბოლოს, ჰაიდელბერგელ ბერნდ შნაიდმიულერთან ერთად შევქმენი კვლევითი პროგრამა სახელწოდებით “კულტურების ინტეგრაცია და დეზინტეგრაცია ევროპულ შუა საუკუნეებში”, რომელშიც მონაწილეობის სურვილი გამოთქვა დღევანდელი მონაცემებით ათეული სხვადასხვა დისციპლინის და-ხლოებით ოცდაათმა გერმანელმა მედიევისტმა.

მაგრამ რა მიზანი უნდა ჰქონდეს ტრანსკულტურული ტიპის მედიევისტიკას? ამერიკუ-ლი კვლევებისაგან განსხვავებით, რომელიც მიდრეკილია გლობალური პერსპექტივებისა-კენ,⁵¹ ევროპულ შუა საუკუნეების კვლევას, ჩემი აზრით, წვლილი უნდა შეჰქონდეს ევროპის წარსულის შემეცნებაში.⁵² ეს გახლავთ სავსებით ახალი ამაღელვებელი გამოწვევა, თუკი არ შემოვიფარგლებით რომაულ-კათოლიკური დასავლეთის ქვეყნების ტრადიციებით, როგორც ეს ჩვეულებრივია მიღებული. აქ საქმე ეხება არა იდენტობის უზრუნველყოფას, რომელიც პოლიტიკოსებს სურთ, ხოლო პუბლიცისტები სიამოვნებით ახორციელებენ ცხო-ვრებაში, არამედ – ნამდვილ კვლევასთან უცნობ სხვადასხვა სივრცეში. თუმცა ეს საჭიროებს სამუშაო ჰიპოთეზას. ეს კი შეიძლება ასე ჟღერდეს: „ევროპა თავისი ისტორიის მანძილზე არასოდეს არ ხასიათდებოდა ერთადერთი კულტურის ნიშნით (მხოლოდ ერთი რომელიმე კულტურის ზეგავლენით), ამრიგად, არ იყო ლათინურ ქრისტიანობასთან იდენტური; სხვა მხრივ, ის ასევე ნაკლებად იყო კულტურათა ბრძმედი, როგორადაც თანამედროვეობაში ირონიულად მოიხსენიებენ ამერიკის შეერთებულ შტატებს.⁵³ ნაცვლად იმისა, რომ თავი-

49 შეად.: Michael Borgolte, Von der Geschichte des Stiftungsrechts zur Geschichte der Stiftungen, in: Hans Liermann, Geschichte des Stiftungsrechts. Tübingen 1963, ND იქვე: 2002, S. 13*-69*.

50 იქვე: 2002, S. 13* და S. 37* შესაბამისი ლიტერატურის მითითებით.

51 შეად., Patrick J. Gaery. Vergleichende Geschichte und sozialwissenschaftliche Theorie, in: Das europäische Mittelalter im Spannungsbogen des Vergleichs. Zwanzig internationale Beiträge zu Praxis, Problemen und Perspektiven der historischen Komparatistik, hrsg. von Michael Borgolte, Berlin, 2001, 29-38; შეად., აგრეთვე მოხსენებები David L. d'Avray, Gadi Algazi და Svetlana Luchitskaja იმავე ტომში. – ამასთან ასევე Michael Borgolte, Stand und Perspektiven der vergleichenden europäischen Mittelalterforschung, in: Lietuvos Istorijos Metraštis 1 (2003), S.135-148 (ლიტურ ენაზე).

52 Michael Borgolte, Perspektiven europäischer Mittelalterhistorie an der Schwelle zum 21. Jahrhundert, in: Das europäische Mittelalter (შენიშვნა 49), S. 13-27; მისივე, Mediävistik (შენიშვნა 18), მისივე, Ende (შენიშვნა 14).

53 Anders Davies, Europe (შენიშვნა 13), S. 35.

სებურებათა ქაოსი და განსხვავებათა მიჯნები წარმოექმნა, მისი თავისებურება ისაა, რომ კულტურულ განსხვავებებს არასდროს მიჰყავდათ საქმე გამოუსწორებელ გახლეჩამდე, არამედ ყოველთვის რჩებოდა ნაყოფიერი ორმხრივი ურთიერთობის შესაძლებლობა. ევროპისათვის დამახასიათებელი განსაკუთრებული შინაგანი ურთიერთდამოკიდებულების მიზეზები, მიუხედავად გარკვეული კულტურული წინააღმდეგობისა, უნდა ვეძებოთ რელიგიურ რწმენასა და კულტში. უდავოა, რომ შუა საუკუნეების ევროპა იმყოფებოდა მანამდე უცნობი ზეგავლენის ქვეშ, რომელიც მომდინარეობდა სამი მონოთეისტური რელიგიიდან, რომელთაგან – ქრისტიანობას, რომელიც წარმოდგენილი იყო ორი საეკლესიო სისტემით, იუდაიზმსა და ისლამთან შედარებით ყველაზე მეტი წონა ჰქონდა. თუკი რომაულ ანტიკურ ხანაში კულტის ერთიანობას პოლითეისტური საფუძველი ჰქონდა,⁵⁴ მეოთხე და მეშვიდე საუკუნეებს შორის ევროპაში მონოთეისტური პლურალიზმი გაჩნდა. რასაკვირველია, პოლითეისტური პრაქტიკა, მისი სარწმუნოების ელემენტები შუა საუკუნეებშიც აგრძელებენ არსებობას და მოქმედებებს, სატანური და დემონური რწმენის სახით, წმინდანთა კულტსა და მაგიაში, მაგრამ მათ თავიანთი ლოკალური და ეთნიკური ხასიათით ევროპის შეკავშირებაში წვლილი ვერც კი შეიტანეს და, ამდენად, ერთიანობაში ვერც ევროპის ისტორიაზე განმარტებას გვპირდებიან. ამის საპირისპიროდ მონოთეისტური რელიგიები არასოდეს ყოფილან შემოსაზღვრული ერთი ხალხით, ან რომელიმე ერთი რეგიონით, არამედ ისინი ქმნიდნენ საფუძველს დიდი კულტურებისათვის, რომლებიც შემდგომში დივერსიფიცირდებოდნენ გარკვეულ შემოსაზღვრულ სივრცეებში განსაკუთრებული ტრადიციებით. ფილოსოფოსები ფასეულად მიიჩნევენ, რომ მონოთეიზმს, მრავალდემერტიანობისაგან განსხვავებით, აქვს ტენდენცია დოგმისაკენ. ამით წარმოშობენ გადაუჭრელ პრობლემებს თავიანთი სხვადასხვა რელიგიის მიმდევრებს შორის.⁵⁵ ამის საპირისპიროდ კი ისტორიკოსებმა კარგად უწყიან, რომ ყველა მონოთეისტი არავითარ შემთხვევაში არ ყოფილა ყველგან და ყოველთვის გამსჭვალული მისიონერული სულიკვეთებით, არამედ ისტორიაში იყო როგორც სიმბიოზების პერიოდი, ისე – გამანადგურებელი ომების ხანა.⁵⁶ დიდხანს გულგრილად დარჩენა შეუძლებელი იყო მაშინ, როდესაც არსებობდა ერთადერთი ღმერთი, უფრო სწორად კი ერთი და იგივე შემოქმედი ღმერთი და ამ დროს მეზობელს მასზე სრულიად სხვაგვარი წარმოდგენა ჰქონდა, ვიდრე საკუთრივ მას.

თუ როგორ შეიძლება ჰიპოთეზის შემოწმება, შეიძლება დავასკვნათ ჩემი თანამშრომლის იულიანე შილის ნაშრომიდან, რომელიც როგორც იქნა დაიწერა.⁵⁷ გეოგრაფი-

54 Mary Beard, Jhn North, Simon Price, Religions of Rome, 2 Bde. Cambridge, 1998

55 Odo Marquard Lob des Polytheismus. Über Monomythie und Polymythie, in.: მისივე, Abschied vom Prinzipiellen, Stuttgart, 1995, S. 91-116, განსაკ. S. 100; Hans Blumenberg, Arbeit am Mythos, Frankfurt a. M., 1990, რჩეული გამოცემა იქვე 1996, S. 239 ff., განსაკ. S. 264 f., 269. შეად., ასევე Michael Borgolte, Historie und Mythos, Katalog der Ausstellung, hersg. von Mario Kramp, Bd.2. Mainz, 2000, S. 839-846. ასევე ეგვიპტოლოგმა და კულტურის კვლევების მცოდნემ იან ასმანმა საყოველთაოდ ცნობილია მონოთეიზმი (სამ რელიგიაში) ძალადობის გენეზისს დაუკავშირა, ბოლოს: Die Mosaische Unterscheidung oder der Preis des Monotheismus, München/Wien, 2003.

56 დაგვიანებული გაქრისტიანების ერთ-ერთი მაგალითია ლიტვა, სხვა ძალადობრივად კონფესიის ცვლილების ნიმუშია პრუსია. შეად., La Cristianizzazione della Lituania. Atti del Colloquio Internazionale di Storia Ecclesiastica in occasione del VI centenario della Lituania cristiana (1387-1987), Roma 1986; Alain Demurger, Die Ritter des Herrn. Geschichte der geistlichen Ritterorden, München 2003, S. 72 ff.; Uwe Ziegler, Kreuz und Schwert. Die Geschichte des Deutschen Ordens, Köln [u.a.] 2003, S. 108 ff.

57 Juliane Schiel, Die ‚Sarazenen‘ im Orientbild der Dominikaner des 13. und 14. Jahrhunderts. Eine Untersuchung zur Eigen –und Fremdwahrnehmung von europäischen Reisenden am Beispiel der Missionberichte von Ricoldus von

ული თვალსაზრისით ნაშრომი თითქოს არ ეხება ევროპას. შილი აანალიზებს ორი დომინიკანელი მისიონერის ახლო აღმოსავლეთში მუსლიმებთან მოგზაურობის ანგარიშს, და ასევე მოგზაურობას ინდოეთში მეთოთხმეტე საუკუნის დამდეგს. ამ ნაშრომებში ჩართულია, იმავდროულად, შეხვედრები წარმართებთან-მონდოლებთან, თურქებთან, სპარსელებსა და ქურთებთან – ისევე როგორც აღმოსავლეთის ქრისტიანებთან. როგორც ჩანს უკვე გასაგებია მთავარი საკითხიც – საკუთრისა და უცხო ადამა, თუმცა შილი სხვადასხვა დონის შედარების საფუძველზე აღწევს ისეთ შედეგებს, რომლებიც ნელ-ნელა მეთოდურად შეიძლება გახდეს გასაღები ევროპის ისტორიის განმარტებისათვის. ავტორი დომინიკანელების ცნობების შესაბამისად არაბული სივრცისა და შორეული აღმოსავლეთის შესახებ, ასევე სარაციონებისა და სხვა დანარჩენ არაკათოლიკებზე დაკვირვების შედეგად განასხვავებდა კულტურული აღთქმისა და რელიგიური განსხვავების ორ მიმართულებას, უწინარესად კი – კატეგორიებს „სხვა“ (Andere) და „უცხო“ (Fremde), რაც მას ნასესხები აქვს გერმანისტის მარინა მიუნკლერისგან. ამ უკანასკნელის მიხედვით, „უცხო“ იმყოფება ჰაბიტუალიზირებული ცოდნის მიღმა და საუკეთესო შემთხვევაში წარმოჩინდება სავარაუდო განსხვავებულობასთან ერთად. „უცხო“ არის ის, რომელიც იმ საზღვრის იქით მდებარეობს, სადაც ადამიანმა იცის, რა არის „მსგავსი“ და რა არის „სხვანაირი“.⁵⁸ იმ დროს, როდესაც მოგზაური მენდიკანტებისთვის (დატაკთა ორდენი) აზიის ეს წარმართი ხალხები უცხო იყო და ამ სამყაროს აღწერას, პირველ ყოვლისა, თვითმხილველების მიერ გაცდილი უცხოთა ცხოვრება უნდა აესახა. მოხდა სარაციონების შესახებ მათი ცოდნის ჰაბიტუალიზირება. „ეს სამყარო კი უკვე აღარ ეჩვენებოდათ „უცხო“. არამედ მათ უკვე გაითავისეს არაბული სივრცის სიუცხოვე და, ამასთან, მათ ეს სიუცხოვე მოაქციეს საკუთარი ორდოს ფარგლებში და განსაზღვრეს ის, როგორც „სხვანაირი“.⁵⁹ „უცხო“ საკუთართან მიმართებაში გამოჩნდა ჯადოსნური და, იმავდროულად, შიშისმომგვრელად, რომელიც გადმოსცემს აღფრთოვანებისა და შიშის ამბივალენტური შეტყობინებას, როგორც ამას გვიჩვენებენ ბუნების საოცრებანი – მირაბილია, ანუ მონსტრული არსებები წარმართებს შორის, რომელიც შიშსა და გაკვირვებას იწვევს. „სხვა“ ამის საპირისპიროდ არის სახელდობრ „არა-საკუთარი“, მაგრამ არა უჩვეულო და წარმოაჩენს პატივისცემისა და ზიზღის, სიყვარულისა და სიძულვილის კავშირდამოკიდებულებას „საკუთართან“. მოგზაურები მიხვდნენ, რომ სარაციონების შემთხვევაში საქმე ჰქონდათ არა წარმართთა, ან კერპთაყვანისმცემელთა სხვა ჯგუფთან, არამედ მონოთეისტურ რელიგიასთან, რომელიც ძველი და ახალი აღქმიდან გადმოტანილი გარკვეული ელემენტებით ხასიათდება. სწორედ ამიტომაც სარაციონები „უცხოდან“ „სხვებად“ გადაიქცნენ.⁶⁰

შორეული აღმოსავლეთის წარმართების „უცხო“ და სარაციონების „სხვის“ კატეგორიაში წარმოდგენა გადამწყვეტი მიზეზი, ამრიგად ეს იყო მათი (მენდიკანტების ორდენის) რელიგია. მეორე მხრივ, თეოლოგიურმა განათლებამ ვერ უზრუნველყო დომინიკანელების სათანადო მომზადება შორეული ქვეყნების უცხო ცხოვრების წესთან შესაგუებლად. სხვა კულტურათა გამოვლინებებმა გამოიწვიეს მათი გაოცება და გაკვირვება და მათთვის ჩვე-

Monte Croce und Jordanus von Severac. Wissenschaftliche Hausarbeit im Rahmen der Ersten Staatsprüfung für das Amt des Studienrats. Berlin Juli 2003 (მანქ. ნაბეჭდი).

58 Marina Münkler, Erfahrung des Fremden: Die Beschreibung Ostasiens in den Augenzeugenberichten des 13. und 14. Jahrhunderts, Berlin, 2000, S. 149.

59 Schiel, აღმოსავლეთის ხატი (შენიშვნა 55), S. 69.

60 იქვე, S. 70

ული წარმოდგენების მოდიფიკაცია, უპირველეს ყოვლისა, მათი ანგარიშის იმ ადგილებში (იმ პასაჟებში), სადაც ისინი თავიანთ აზრს ყველაზე უფრო ძნელად გასაგებად და ბუნდოვნად გამოხატავდნენ. შესაძლებელი გახდა, თეორიული სიცარიელები გამოცდილებით შევსებულიყო.

მხოლოდ მონღოლების შემოსევის და მათთან შეხვედრის შემდეგ მეცამეტე საუკუნეში მოხდა მუსლიმების გადაკვალიფიცირება „ურწმუნოთა კატეგორიიდან“ „არასწორად“ მორწმუნეთა კატეგორიაში. მართალია, ქრისტიანები მათ მოწინააღმდეგეებად აღიქვამდნენ, მაგრამ მაინც მოახერხეს და ისლამური კულტურა „უცხოდან“ „სხვის“ კატეგორიაში გადაიტანეს. ამით მუსლიმები სტრუქტურულად დაუახლოვდნენ ებრაელებს და ერეტიკოსებს, ასევე, სქიზმატიკოსს აღმოსავლურ ქრისტიანებს; უფრო სწორად რომ ვთქვათ, ლათინური ეკლესიის მიერ, კერძოდ სქოლასტიკოსების მიერ იუდაიზმი და ერესი გაგებულ იქნა, როგორც „სხვა საკუთარში“, ხოლო ისლამი კი – როგორც „სხვა საკუთარის გვერდით“.⁶¹

რა თქმა უნდა, შესაძლებელია ამ შეხედულებების განზოგადება. მაგალითისათვის სკანდინავიელი და აღმოსავლეთ ევროპის წარმართები გაქრისტიანებამდე განვითარებული შუა საუკუნეების ქრისტიანთათვის – იქნება ეს ლათინები თუ ბერძნები – უდავოდ იყვნენ „უცხოები“. ქრისტიანული მისიის გარეთ, შორეულ სივრცეებში გაფართოების შედეგად, იცვლებოდა საზღვარი „საკუთარსა „ და „უცხოს“ შორის. ეს თუ ასეა, მაშინ შუა საუკუნეების ევროპა შეიძლება დავახასიათოთ, როგორც „საკუთარსა ‘ და „უცხოს“ შორის არსებული მზარდი დაძაბულობის ველი, რომელიც დიდი ხნის განმავლობაში შემოსაზღვრული იყო წარმართული აზრით, როგორც „უცხოსაგან“. ე.ი. საკითხავია შემდეგი რამ: ევროპის ტრანსკულტურული ურთიერთობები ამიტომაც ხომ არ უნდა იყოს აღქმული უფრო მეტად, ვიდრე, როგორც „პატივისცემისა და ზიზღის, სიყვარულისა და სიძულვილის კავშირები“, ვიდრე „აღტაცებისა და შიშის“ კავშირები. სავარაუდოდ, შესაძლებელია, რომ „საკუთარის“, „სხვისი“ და „უცხოს“ აღქმის განსხვავება რელიგიურ საფუძველზე იძლევა ინდიკატორს შუა საუკუნეების ევროპის აქამდე ჯერ კიდევ არცთუ კონკრეტული ურთიერთდამოკიდებულებისათვის, პარტიკულარული იდენტობის მიღმა.

ეს მიდგომა, რომელიც მისიიდან გამომდინარეობს, განპირობებულია ქრისტიანული პოზიციით. ამდენად საკითხავია, აქვს თუ არა არაქრისტიანული რელიგიების თვალთახედვიდან რელიგიურ განსხვავებებს იგივე წონა, რაც ქრისტიანული პოზიციიდან. და მართლაც, ევროპის მუსლიმური აღქმა, როგორც ჩანს, განმსჭვალული იყო, უპირველეს ყოვლისა, კულტურულად სხვაგვარად ყოფნის, განსხვავებულობის და უპირატესობის ნიშნით⁶². ამდენად, ევროპული ურთიერთდამოკიდებულების შედარებითი კვლევა ანგარიშს უნდა უწევდეს იმ გარემოებას, რომ კულტურისა და რელიგიის აღქმის დერძებს სხვადასხვა დამოკიდებულება აქვთ ერთმანეთთან, რასაც საკუთრივ რელიგია განსაზღვრავს.

„ევროპა“ „რეალურად“ ისტორიაში არასოდეს არსებულა, არამედ ეს იყო, როგორც ყველა კომპლექსური ისტორიული წარმონაქმნი, ის მხოლოდ ადამიანების გონებაში არსებობდა. მისი კონსტრუქციული დახასიათების ყველა მცდელობა, რომ განიმარტოს წარსულის „ნამდვილი“ ევროპა და სხვა სივრცესთან შედარებით დისკურსით დასაბუთდეს ეს, შეცდომაში შეგვიყვანს. მედიევისტური კვლევის საგნად განხილულ ევროპას გააზრებული ერთიანობის ცალკეული დეტალი ისეთი სახით უნდა იყოს წარმოდგენილი, რომ

61 იქვე., S. 75

62 იქვე, S.78, იხ., Jean-Paul Roux, Les explorateurs au Moyen Âge, Paris, 1985, S. 241; Bernard Lewis, Der Untergang des Morgenlandes, Bonn, 2002, S. 9 f.

სტრუქტურა ანალიზის პროცესში გამოირჩეოდეს მაღალი განმარტებითი პოტენციალითა და ისეთი უნარით, შეძლებისდაგვარად მეტი ოდენობის თავისებურებებს მიუჩინოს სათანადო ადგილი. ამიტომ, სავარაუდოდ, ევროპის შენების პროცესში უაღრესად დიდი მნიშვნელობა ენიჭება შედარებას.⁶³ მხოლოდ შედარების საშუალებითაა შესაძლებელი ყველა კულტურის ცალ-ცალკე სათანადოდ შეფასება ისე, რომ ისინი არ აღმოჩნდნენ სავარაუდოდ ყველაზე მნიშვნელოვანის უკან. შედარება – ეს არის ის ერთადერთი საშუალება, რომლითაც შესაძლებელია ერთმანეთთან შეუთავსებლისა და ერთადერთის (განუმეორებლის) ერთ სიბრტყეზე მოქცევა და გაანალიზება. თანადროულობის, არათანადროულობის და მსგავსების განსხვავებულში შეცნობა – აი, ესენია ის უპირველესი საერთო შედეგები, რომლებსაც შესაძლოა მედიევისტთა მოელოდეს შედარების უსასრულოდ მრავალფეროვანი ოპერაციებისგან. ევროპული კომპარატისტიკა წინ მიიწევს ურთიერთობათა მოსასინჯად, სადაც კი ეს შესაძლებელია. ისტორიული შედარება ყველაზე მეტად იქაა დამაჯერებელი, სადაც მას შეუძლია გვიჩვენოს, თუ როგორ წარმოქმნიან განსხვავებულ კულტურულ ფორმაციებს ერთი საერთო წარმომავლობის მქონე მეზობელი, ერთმანეთზე ზეგავლენის მქონე ან სულაც ურთიერთდაპირისპირებული ხალხები და ჯგუფები.⁶⁴ ყველაზე მეტად პრეტენზიულია – და ამავე დროს ყველაზე ინტელექტუალური ხიბლის მქონე – ერთმანეთთან კავშირის არმქონე, დისტანციური კულტურების და მათი ცალკეული ფენომენების შედარებები.⁶⁵ არასწორია საუბარი, რაღაც შეუდარებლის შესახებ, თითქოსდა შეუძლებელი იყოს შედარება ან თითქოსდა შედარებას სასრული ჰქონდეს, თუკი აბსტრაქციის შესაძლებლობას და ფანტაზიას შესწევთ უნარი, შესწვდნენ ურთიერთმიმართებისათვის საჭირო და სწორ (შესაბამის) სათანადო დონეს.⁶⁶

თუკი შედარებისათვის ამოსავალ წერტილად ვიღებთ ევროპის მრავალფეროვნებას, მაშინ უნივერსალური შედარებისათვის არ უნდა იყოს დაშვებული კონტინენტის ის ერთობა, რომელიც სინამდვილეში დღემდე არასოდეს არსებულა. მაგრამ, ვინაიდან ჩვენ გვინდა ვიფიქროთ ევროპაზე, როგორც ერთეულზე, უნდა შევქმნათ მოდელები, რომლებიც დაგვაკმაყოფილებს და დაგვარწმუნებს. ჩემი მოსაზრებების ბოლოს მსურს ერთი ასეთი მოდელის მონახაზი გავაკეთო, რომელიც ტრანსკულტურული შედარებების ნაშრომებიდან ჩამოყალიბდა.

ევროპა შუა საუკუნეებში უწინარესად სამმა რელიგიურმა ძალამ ჩამოაყალიბა, რომელთაც საკუთარი კულტურული ზონა შექმნეს:⁶⁷ რომის, გერმანული რაიხისა და დასავლური მონარქიების ირგვლივ არსებული ლათინური ეკლესია; კონსტანტინოპოლიდან მოსკოვზე და ბალკანეთზე მოქმედი ბერძნულ-ორთოდოქსული ეკლესია და ძირითადად წინააზიაში დაფუძნებული, მაგრამ ამავე დროს ესპანეთში, სიცილიასა და აღმოსავლეთ ევროპასა თუ შუა ევროპის აღმოსავლეთ ნაწილში წარმოდგენილი ისლამი. ამას ემატე-

63 შემდეგ იხ., Michael Borgolte, Mediävistik (შენიშვნა 18), S. 321 f.

64 შემდეგ იხ.: Bernard Schneidmüller, Außenblicke für das eigene Herz. Vergleichende Wahrnehmung politischer Ordnung im hochmittelalterlichen Deutschland und Frankreich, in: Das europäische Mittelalter (შენიშვნა 49), S. 315-338; Thomas F. Glick, Islamic und Christian Spain in the Early Middle Ages, Princeton, New Jersey 1979.

65 შეად., James Given, State and Society in Medieval Europe. Gwynned and Languedoc under Outside Rule, Ithaca, 1990;

66 შეად., Deborah Cohen, Comparative History, Buer Beware, in: Bulletin of the German Historical Institute 29, (2001), S. 23-33; Harmut Kaelble, Der historische Vergleich. Eine Einführung zum 19. und 20. Jahrhundert. Frankfurt, New York, 1999; Borgolte, Stand und Perspektiven (შენიშვნა 49)

67 Borgolte, Europa entdeckt seine Vielfalt (შენიშვნა 16); მისივე: Komposition (შენიშვნა 15).

ბოდა იუდაიზმი, რომელიც დეცენტრალიზებულად იყო გავრცელებული, უმეტესად შესაბამის უცხო სარწმუნოების მქონე უმრავლესობასთან ადაპტაციისაკენ იყო მიმართული და ხშირად დიდ სოციალურ ჯგუფებს შორის კულტურულ ტრანსფერს უზრუნველყოფდა. ყველაზე ძლიერად ევროპაში დამკვიდრებული იყო რომის ეკლესია, განსაკუთრებით მას შემდეგ, რაც ისლამური დაპყრობების გამო დაკარგა ჩრდილოეთ აფრიკის ტერიტორიებზე ზეგავლენა. ადრეული შუა საუკუნეებიდან მოყოლებული ის იყო ყველაზე ძლიერი ძალა ევროპის გაერთიანებისათვის. ამის საპირისპიროდ, ბიზანტიის დედაქალაქი მდებარეობდა ევროპისა და აზიის გზაგასაყარზე. ბიზანტია აფრიკის ტერიტორიაზეც გადადიოდა, ე. ი. მესამე კონტინენტსაც სწვდებოდა, სადაც არსებობდა ალექსანდრიის საპატრიარქო. ამის მსგავსი სიტუაცია იყო მუსლიმების შემთხვევაშიც, რომლებმაც თავიანთი რელიგიური დოქტრინის საწინააღმდეგოდ ხალიფატის გვერდით შექმნეს მრავალრიცხოვანი, განსაკუთრებული სამფლობელოები აფრიკასა და ევროპაში. ამ სამივე კულტურულ ზონაში შეიძლება ერთმანეთისაგან განვასხვაოთ, ერთი მხრივ, შედარებით ძლიერი ერთიანობის ცენტრები და, მეორე მხრივ, უფრო დიდი დივერსიფიცირების მქონე განაპირა ზონები. დასავლეთში ასეთ პერიფერიებად მიიჩნეოდა იბერიის ნახევარკუნძული და კელტები დასავლეთში, ქვემო იტალია სამხრეთ ნაწილში, სკანდინავია ჩრდილოეთში და შუა აღმოსავლეთ ევროპის ხალხები; ორთოდოქსული სივრცისათვის კი – პოლიტიკური წარმონაქმნები აღრიატიკის ზღვაზე და რუსეთი, ხოლო მუსლიმებთან ეს პერიფერია იყო ყველა მათ მიერ დასახლებული ევროპული ტერიტორია, ე. ი, ალ-ანდალუსი, სიცილია, მაგრამ ასევე უნგრეთი, პოლონეთი, ლიტვა და მონღოლეთის შორეული სამფლობელოები ევროპაში. გეოგრაფიულად თუ დავაკვირდებით, დავინახავთ – სამივე ამ ცენტრის ირგვლივ არსებული ზონები ქმნის ერთიან სივრცეს, რომლებიც შეიძლება ყოფილიყო უფრო დიდი კულტურული ფენომენის ზეგავლენის ქვეშ, ვიდრე ეს ხორციელდებოდა ამ ქვეყნებსა და ხალხებზე მათი შესაბამისი ცალკეული ცენტრებიდან.

ამის საილუსტრაციოდ მოვიყვანთ ერთ მაგალითს.⁶⁸ ცნობილია, მრავალცოლიანობა ქრისტიანობაში ისჯებოდა თავიდანვე, უკვე მისი დამაარსებლის მოძღვრების მიხედვით; ამის საპირისპიროდ, ისლამში – მართალია, არასრულად, მაგრამ მრავალცოლიანობა ნებადართული იყო. რაც შეეხება იუდაიზმს, აქ მრავალცოლიანობა დაშვებული იყო. რა თქმა უნდა, არავის შეუძლია თქვას, თუ რამდენად იყო შუა საუკუნეებში პოლიგამია რეალურად გავრცელებული, თუმცა შესაძლებელია ცალ-ცალკე არსებული ნორმების ერთმანეთთან შედარება. ერთმა ინტერკულტურული ტიპის გამოკვლევამ ამას წინათ გვიჩვენა საინტერესო შედეგი: მხოლოდ ამ ტიპის ევროპულ განაპირა ქვეყნებში, კერძოდ კი, ლათინურ ქრისტიანებთან ირლანდიაში, შოტლანდიასა და უელსში, მართლმადიდებლებთან – რუსეთში, მუსლიმებთან – ალ-ანდალუსსა და ასევე სეფარდისტულ ებრაელებში, ამ გამოკვლევის მიხედვით, მამაკაცის მიერ მრავალი ცოლის ყოლა სამართლებრივად ხაზგასმით ნებადართული იყო, თანაც სხვადასხვა პირობებში. ასე რომ, ერთი მხრივ, გვაქვს უპირატესად მონოგამიური ევროპული ბირთვი (ცენტრი), სადაც ქრისტიანული ნორმა უდავოდ ძალაში იყო, მეორე მხრივ, არსებობს პოლიგენიური განაპირა ზონა, რომელიც მოიცავდა ლათინურ და ბერძნულ სამყაროს ნაწილებს და ასევე ისლამურ ტერიტორიებს.

ვფიქრობ, რომ ღირს ევროპის ორად გაყოფის ამ მოდელის შემდგომი გამოცდა და გამოყენება. ის აღარ დაუპირისპირებდა ევროპულ დასავლეთს აღმოსავლეთთან, ან ასევე

68 Michael Borgolte, *Kulturelle Einheit* (შენიშვნ. 22).

სამხრეთს ჩრდილოეთთან, როგორც ამას ხშირად განიხილავენ, კულტურის ტრანსფერის კანონების გასამართლებლად დასავლეთის ქვეყნების უპირატესობაზე ხაზგასმით.⁶⁹ ის აგრეთვე ხელს არ შეუწყობდა უსაფუძვლო წარმოდგენას რელიგიურ-კულტურული სფეროების ორმხრივი იზოლირების შესახებ. პირიქით, ასეთი კვლევები ყოველგვარი შემფასებლური ვარაუდებისა და ჰიპოთეზების გარეშე და მეცნიერული ანალიზის საშუალებით, ნათლად წარმოგვიჩენდა ევროპას, როგორც განსხვავებული ჰომოგენიზირებისა და დივერსიფიცირების კონტინენტს. შეგუებისა და თავდაცვის პროცესებმა, რომლებიც ამ დროს თავს იჩენს, შეიძლება ცოდნით ადგჭურვოს იმ ამოცანების გადასაჭრელად, რომელთა წინაშე გვაყენებს დღეს ჩვენი გარემომცველი სამყარო და დაგვაყენებს ხვალ უფრო მეტად, ვიდრე ოდესმე.

გერმანული ენიდან თარგმნა
ბეჟან ჯავახიამ

69 შეად., Michael Borgolte, Ostmitteleuropa (შენიშვნ. 32).